საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 575 2024 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „მომავლის ენერგიისათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „მომავლის ენერგიას“ (ს/ნ: 400180237) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, წლიურ სარგებლობაში გადაცემის საფასურად – 15 366 (თხუთმეტი ათას სამას სამოცდაექვსი) ლარად, აღნაგობის უფლებით გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვარდისუბანში მდებარე, ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონება.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) სარგებლობაში გადაცემის საფასურის – 15 366 (თხუთმეტი ათას სამას სამოცდაექვსი) ლარის გადახდა ყოველწლიურად;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების გამოყენება საქართველოს მთავრობასა და შპს „მომავლის ენერგიას“ (ს/ნ: 400180237) შორის 2022 წლის 9 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურის – „მაშავერა 3 ჰესის“ აშენებისა და ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

დანართი

N	მისამართი	დანიშნულება	ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი
1	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვარდისუბანი	არასასოფლო სამეურნეო	10058	82.12.48.622
2	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვარდისუბანი	არასასოფლო სამეურნეო	10982	82.12.48.623
3	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვარდისუბანი	არასასოფლო სამეურნეო	1395	82.12.48.624
4	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვარდისუბანი	არასასოფლო სამეურნეო	25584	82.12.48.608